განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

1 თებერვალი, 2019 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ააიპ "საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)"
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204429341
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართლის საბაკალავრო პროგრამა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის ბაკალავრი, 06
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით მაისურაძე, სსიპ "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი", საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ ნაკაშიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა იმედაძე, აღმოასვლეთ ევროპის უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

უსდ-ში საბაკალავრო პროგრამის შექმნას წინ უსწრებდა სამაგისტრო პროგრამის შექმნა. სამაგისტრო პროგრამისგან განსხვავებით საბაკალავრო პროგრამა ქართულენოვანია, თუმცა მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინგლისურ ენას, როგორც უცხო ენას და როგორც სამართლებრივ ინგლისურს. საბაკალავრო პროგრამა შეიქმნა 2013 წელს და ვითარდება დაინტერესებული - აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართულობის საფუძველზე. ყოველწლიურად არ იღებენ 50 სტუდენტზე მეტს და ჰყავთ 111 აქტიური სტუდენტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტები გაეცვნენ თვიშეფასების ანგარიშს, საბაკალავრო პროგრამას და თანდართულ დოკუმენტაციას. ჰქონდათ ინტერვიუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელთან; ასევე, ჰქონდათ ინტერვიუ აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის შენობები და მატერიალური ბაზა, ამავდროულად, გაეცვნენ სტუდენტების მიერ სწავლების პროცესში გამოსაყენებელ ელექტრონულ რესურსებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტების უკანასკნელი ვიზიტის შემდეგ პროგრამამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და ძირითადად გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაციები. პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.
პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.
ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

აკადემიური პერსონალი გამოირჩევა სამეცნიერო პუბლიკაციებით და პრაქტიკული საქმიანობით, საგნების ჩამონათვალი არის ზოგად მოთხოვნებთან შესაბამისობაში და პრაქტიკაზე ორიენტირებული. ამავდროულად უნივერსიტეტის შიდა კვლევების დეპარტამენტი გასცემს მცირე გრანტებს სამეცნიერო პერსონალზე, რომლებიც რთავენ პროექტების განხორციელებაში სტუდენტებს, რაც აძლიერებს სამეცნიერო საქმიანობას.

- **რეკომენდაციები**

  - მნიშვნელოვანია case study-ზე ყურადღების გამახვილება

  - აუცილებელია სწავლების მეთოდების დეტალური განმარტება
  - მნიშვნელოვანია გარე შეფასების მექანიზმის გაძლიერება და დამსაქმებლების კიდევ უფრო აქტიური ჩართვა პროგრამის განვითარებაში
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სტუდენტების ნაწილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სტაჟირებები დამსაქმებლებთან ემთხვევა სალექციო საათებს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად უნივერსიტეტის აქცენტი უფრო მეტად არის სალექციო და აკადემიურ პროცესში ჩართულ სტუდენტზე. შესაბამისად, მომავალში მნიშვნელოვანია დამსაქმებლების და მათთან არსებული შეთავაზებების კონცეტრირება ზაფხულის პერიოდისთვის, მაშინ როდესაც სტუდენტები მეტად არიან თავისუფალი საუნივერსიტეტო დატვირთვისგან.
  - ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ საკონსტიტუტიო მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებების მიმართულებები არის პროგრამის და ზოგადად სკოლის ძლიერი მხარე. შესაბამისად, ექსპერტებმა ურჩიეს სკოლას, რომ შექმნას აღნიშნული მიმართულების კვლევითი ცენტრი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს დასახელებულ მიმართულებას და მის სამეცნიერო ხასიათს.
  - ელექტრონული ბიბლიოთეკა და ატვირთული ლიტერატურა არის ძალიან კარგი და მოხერხებული საშუალება სტუდენტებისთვის მასალის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ნაშრომების ავტორთა საავტორო უფლებების დაცვა.
  - პროგრამის მიხედვით ერთ საგნად არის შეთავაზებული ისეთი მოცულობითი საგნები, როგორებიცაა სამოქალაქო საპროცესო სამართალი“ და „სისხლის სამართლის პროცესი“. ამ საგნების ხანგრძლივობა შეადგენს ერთ სემესტრს. საგნების მოცულობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი ორ სემესტრზე განაწილება. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართლის 2 ნაწილად გაყოფისა და ორ სემესტრზე გადანაწილების საჭიროებას პროგრამის ხელმძღვანელიც ეთანხმება სტუდენტების გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე და უკვე დაგეგმილი აქვთ აღნიშნული ცვლილების განხირციელება.
  - საგნის „სამართლებრივი წერა“ სილაბუსში, რომელიც შეთავაზებულია მეორე სემესტრში ბოლო ლექციისა და სემინარის თემად მითითებულია „სამაგისტრო/სადიპლომო ნაშრომი“. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, მითუმეტეს მეორე სემესტრის სტუდენტებისთვის სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის, კვლევის მეთოდებისა და ინფორმაციის დახარისხების სწავლება მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. სასურველია სილაბუსის ეს თემატიკა შეიცვალოს უფრო რელევანტური თემატიკით.
  - მიზანშეწონილია გაიზარდოს სამეცნიერო აქტივობებისა და კვლევითი პროექტების რიცხვი და მოხდეს სტუდენტების ჩართვა. სკოლამ უზრუნველყოს სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციების/პროექტების ორგანიზება. გაგრძელდეს მუშაობა

ინტერნაციონალიზაციის კუთხით და გაიზარდოს სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების რიცხვი. ამასათანავე, შემუშავდეს მოტივაციის მექანიზმები სტუდენტებისთვის, რათა გაიზარდოს ჩართულობა სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და სამეცნიერო აქტივობებში.

- შემოწმების დროს ექსპერტებს შთაბეჭდილება დარჩათ, რომ სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი საერთაშორისო ურთიერთოებების მიმართულებით უფრო აქტიურად არის ჩართული ვიდრე სამართლის მიმართულებით. შესაბამისად, ექსპერტების რჩევა იქნება, რომ კარგი იქნება თუ დეკანს ეყოლება შესაბამისი მიმართულების მქონე მოადგილე სამართლის საკითხებზე. ეს კიდევ უფრო ინტეგრირებულს გახდის სამართლის მიმართულებას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სახეზეა ზოგადი პროგრესი, რადგან ძირითადად გათვალისწინებული აქვთ ყველა რეკომენდაცია, რომელიც ბოლო შეფასებისას ჩამოყალიბებული ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფს.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
საბაკალავრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამა იძლევა თანაბარ საშუალებას, რომ მიეცეს ყველა სტუდენტს საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით ცოდნის მიღების შესაძლებლობა. საგნების ჩამონათვალიდან გამომდინარე პროგრამა იძლევა საერთაშორისო სამართალში საბაზისო ცოდნის მიღების საშუალებას. ამავდროულად, საბაკალავრო პროგრამის მიზანია დააინტერესოს სტუდენტები მეცნიერული საიხლეებით, ასწავლოს მსჯელობა, ანალიზი და პრობლემების გადაჭრა. საბაკალავრო პროგრამის და თანდართული დოკუმენტაციის (მათ შორის კაზუსები და საბაკალავრო ნაშრომები) საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ აღნიშნული მიზნების მიღწევა შესაძლებელია. ამავდროულად, პროგრამის საგნებია სხვადასხვა რეპეტიტორიუმები (მაგალითად, საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმი, რეპეტიტორიუმი სამოქალაქო სამართალში, რეპეტიტორიუმი სისხლის სამართალში, ა. შ.) სადაც ძირითად პრაქტიკული, პრობლემებზე და ნორმატიულ ბაზაზე ორიენტირებული სწავლება მიმდინარეობს. კვლევებთან დაკავშირებით შეიძლება დამატებით აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს საუნივერსიტეტო კვლევების დეპარტამენტი, რომელიც გასცემს მცირე გრანტებს სამეცნიერო პერსონალზე, იმ პირობით თუ ეს უკანასკნელები სამეცნიერო საქმიანობაში ჩართავენ სტუდენტებს. ინტერვიუს დროს სამეცნიერო პერსონალმა აღნიშნა, რომ მათ აქვთ ასეთი გრანტები მიღებული და იწყებენ პროექტების განხორციელებას. პროგრამა ითვალისწინებს შრომითი ბაზრის მოთხოვნებს. დამსაქმებლები ჩართულები არიან პროგრამის განვითარებაში და ინტერვიუს დროს კმაყოფილება გამოთქვეს სტუდენტების მომზადების დონით. ამავდროულად, უსდ-ს და სხვა უნივერსიტეტების მონაწილეობით დაიწყება შრომითი ბაზრის ანალიზი, რომელიც განახლებულ ინფორმაციას მიაწვდის უსდ-ს შრომით ბაზარზე არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით. პროგრამაში ასახულია ასევე ინტერნაციონალიზაციის მიმართულებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დასტურდება, რომ უსდ-ს აქვს აქტიური კავშირები ქვეყნის ფარგლებს

გარეთ არსებულ უნივერსიტეტებთან. უსდ-ში მოქმედებს გაცვლითი პროგრამები, რომელზედაც წვდომა აქვთ ასევე ბაკალავრიატის სტუდენტებს. ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა ○ სილაბუსები ○ თვიშეფასების დოკუმენტი ○ ინტერვიუ
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ საგნების რაოდენობა გაიზარდა სისხლის სამართალში და საერთაშორისო სამართალში
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ორგანიზებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის გავლის შემთხვევაში.

პროგრამის გავლის შედეგად სტუდენტი შეიძენს სამართლის დარგობრივი მახასიათებლების ღრმა ცოდნას, განვრცობილი იქნება კვლევების ჩატარების ძირითად პრინციპებს, ეცოდინება სამართლებრივი პრობლემების გადაჭრა, ექნება ანალიზის უნარი.

სწავლის შედეგები არის რეალისტური და მიღწევადი. ამავდროულად, სწავლის შედეგი იძლევა როგორც სწავლის გაგრძელების, ასევე, დასაქმების შესაძლებლობას და შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭიროა მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს. პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

საგნების შეფასების მექანიზმი შესაბამისობაშია პროგრამის შედეგებთან. შეფასების მექანიზმის ნაწილია კაზუსების მეშვეობით გამოკითხვაც, რომელიც ავითარებს ანალიზის უნარს და ორიენტირებულია სამართლებრივი პრობლემების მოგვარებაზე.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგები.

სწავლის შედეგები დაფუძნებულია პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებაზე. პროგრამის მიზნები და შედეგები თანხვედრაშია შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან.

- ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის

მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამა ○ თვითშეფასების დოკუმენტი ○ ინტერვიუ ○ სილაბუსები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	მისობაშია მოთხოვნებთან	ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებ ლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ***პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა.*** სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს განსაზღვრავს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 18/02 გადაწყვეტილებით. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 2.3 მუხლის მიხედვით: პირველი საფეხურის (საბაკალავრო) საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ამავე წესის 2.4 მუხლით ასევე განსაზღვრულია, რომ უნივერსიტეტში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს

მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე სათაურის „მიღება და ფინანსები“- ბაკალავრიატი“ - „სამართალი“ ქვეშ. ვებგვერდზე მითითებულია, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამა განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებსაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება და წარმატებით ჩაბარებული აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიან ეროვნულ გამოცდებში სამ სავალდებულო საგანთან ერთად სტუდენტს შეუძლია არჩევით საგნად აირჩიოს: მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა, სამოქალაქო განათლება. ადგილების ქვოტა არჩევით საგნების მიხედვით განსაზღვრულია: მათემატიკა 12, ისტორია 14, გეოგრაფია 12, ლეტერატურა 12, სამოქალაქო განათლება 10.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მე-7 მუხლი განსაზღვრავს სტუდენტის მობილობის წესს. წესის ტანახმად, სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად. ასევე განსაზღვრულია, რომ უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს შიდა გამოცდის, დოკუმენტაციის განხილვის ან გასაუბრების წარმატებით გადალახვას. აღნიშნული ინფორმაცია ასევე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი - www.gipa.ge
- ინფორმაციის გავრცელება (ღია კარის დღე, სოციალური ქსელები) - https://www.facebook.com/events/954048104745953/

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. სამართლის საბაკალავრო პროგრამა ოთხწლიანია და შედგება რვა სემესტრისგან. შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. პროგრამა შედგება 63 საგნისაგან, რომელთაგანაც 39 სავალდებული საგანია, ხოლო 24 არჩევითი. საგნები დაჯგუფებულია შემდეგნაირად: სავალდებულო ზოგადი საგნები, სპეციალობის

სავალდებულო საგნები, უცხო ენის კომპონენტი, სპეციალობის არჩევითი საგნები და თავისუფალი კრედიტები. სავალდებულო საგნების ჯამი წარმოადგენს 196 კრედიტს (მათ შორის 24 კრედიტი ეთმობა ინგლისური ენის შესწავლას). პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს არჩევითი საგანების სახით 119 კრედიტს. პროგრამის დასკვნით სემესტრში პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს რეპეტიტორიუმებს 4 მიმართულებით (სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი და საჯარო (კონსტიტუციური) სამართალი), რომელთაგანაც სტუდენტი ვალდებულია აირჩიოს მინიმუმ ერთი მისი ინტერესისა და სურვილის გათვალსიწინებით.

გარდა ამისა, პროგრამის დასკვნით სემესტრში დაინტერესებულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა არჩევით კომპონენტად გაიარონ სასწავლო პრაქტიკა საჯარო, კერძო თუ არასამთავრობო სექტორში ან მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო იმიტირებულ პროცესებში (ვილემ ს. ვისის სახელობის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის იმიტირებული პროცესი და ფილიპ ჯესაპის სახელობის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული პროცესი). კრედიტების ჯამი შეადგენს 17 ECTS-ს სტუდენტებს, ასევე, აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის მიერ შეთავაზებული საგანი/საგნები (10 კრედიტის ფარგლებში).

საგნები, სემესტრების მიხედვით, განაწილებულია შემდეგი პრინციპით: პირველ სემესტრში სტუდენტები გადიან გაცნობითი/ზოგადი ხასიათის საგნებს. ყოველ შემდეგ სემესტრში შეთავაზებული საგნების სირთულე იზრდება შინაარსობრივი თვალსაზრისით და ითვალისწინებს სხვადასხვა დისციპლინებს, როგორც პრერეკვიზიტებს შესაბამისი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. იმ საგნებზე დასაშვებად, რომელსაც გააჩნია დაშვების წინაპირობა სტუდენტს დადებითი შეფასება უნდა ჰქონდეს პრერეკვიზიტად მითითებულ შესაბამის საგანში. პროგრამაში შემავალი საგნების თანმიმდევრობა ლოგიკურადაა აწყობილი.

საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინგლისური ენის შესწავლას. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ინგლისურ ენას დაეუფლონ ინტენსიურ რეჟიმში (სემესტრში 93 საკონტაქტო საათი). ჯგუფები დაყოფილია დონეების მიხედვით, რომელზე განაწილებაც ხდება placement test-ის მეშვეობით. ინგლისური ენის საფეხურები პროგრამაში წარმოდგენილია elementary –ი დონიდან advance დონემდე (სავალდებულო კომპონენტი). V და VI სემესტრებში სტუდენტებს შეუძლიათ არჩევით საგნად გაიარონ იურიდიული ინგლისური I და იურიდიული ინგლისური II, რითაც

გაიღრმავებენ ცოდნას და დაეუფლებიან იურიდიულ ტერმინოლოგიას. დასკვნით სემესტრებში პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს არჩევით ინგლისურენოვან საგნებს. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. კრედიტების მინიჭების მეთოდოლოგია ეფუძნება საკონტაქტო საათებისა და დამოუკიდებელი სამუშაო საათების რაოდენობის ჯამს. ერთი კრედიტი წარმოადგენს 25 ასტრონომიულ საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების ჯამს. სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ საკონსტიტუტიო მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებების მიმართულებები არის პროგრამის და ზოგადად სკოლის ძლიერი მხარე. შესაბამისად, ექსპერტებმა ურჩიეს სკოლას, რომ შექმნას აღნიშნული მიმართულების კვლევითი ცენტრი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს დასახელებულ მიმართულებას და მის სამეცნიერო ხასიათს. არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კურსის მიზანი, მიზნის შესაბამისად განსაზღვრულია საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის 8 სწავლის შედეგს.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: სასწავლო კურსის დასახელება, სასწავლო კურსის საფეხური, სასწავლო კურსის სტატუსი, სასწავლო კურსის ხანგრძლივობა, სასწავლო კურსის კოდი, კრედიტების რაოდენობა, საათების გადანაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, კურსის განმახორციელებელი და საკონტაქტო ინფორმაცია,სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობისთვის გამოყოფილი დღე/დღეები, სასწავლო კურსის მიზანი, დაშვების წინაპირობა, სასწავლო კურსის შინაარსი, შეფასების სისტემა, შეფასების კომპონენტები, შეფასების კრიტერიუმები, სასწავლო მასალა, სწავლის შედეგები.

თითოეული სასწავლო კურსი ლოგიკურად არის ორგანიზებული სემესტრების და წლების მიხედვით, რაც ნათლად ჩანს პროგრამის სტრუქტურასა და კურიკულუმის რუკაზე. პროგრამაში კრედიტების დაანგარიშების წესი ემყარება, არა მხოლოდ, სტუდენტის მიერ

პროფესორ-მასწავლებელთან სასწავლო გარემოში გატარებულ საათებს, არამედ იგი ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა კონკრეტულად რომელიმე კომპონენტის დასასრულებლად. კრედიტის მოცულობის გამოანგარიშება ხდება საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალური შეფასებით. კურსის შეფასებაში გამოიყენება მრავალფეროვანი შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის ჩართულობას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. გამოიყენება როგორც სტანდარტული შუალედური და ფინალური გამოცდები, ასევე ინდივიდუალური და ჯგუფური პრეზენტაციები, ესსე-ს წერა, საშინაო დავალებები, ქვიზები ღია და დახურული კითხვებით და ა.შ. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია შემთხვევის ანალიზზე (case study). სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს; სახელმძღვანელოებთან ერთად, სტუდენტები ეცნობიან შესაბამის ნორმატიულ მასალას და სასამართლო გადაწყვეტილებებს. დასკვნით სემესტრებში შეთავაზებულ საგნებში გამოყენებულია ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები/მასალა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - პროგრამის მიხედვით ერთ საგნად არის შეთავაზებული ისეთი მოცულობითი საგნები, როგორებიცაა სამოქალაქო საპროცესო სამართალი“ და „სისხლის სამართლის პროცესი“. ამ საგნების ხანგრძლივობა შეადგენს ერთ სემესტრს. საგნების მოცულობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი ორ სემესტრზე განაწილება. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართლის 2 ნაწილად გაყოფისა და ორ სემესტრზე გადანაწილების საჭიროებას პროგრამის ხელმძღვანელიც ეთანხმება სტუდენტების გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე და უკვე დაგეგმილი აქვთ აღნიშნული ცვლილების განხორციელება. - საგნის „სამართლებრივი წერა“ სილაბუსში, რომელიც შეთავაზებულია მეორე სემესტრში ბოლო ლექციისა და სემინარის თემად მითითებულია „სამაგისტრო/სადიპლომო ნაშრომი“. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, მითუმეტეს მეორე სემესტრის სტუდენტებისთვის სამაგისტრო ნაშრომის

სტრუქტურის, კვლევის მეთოდებისა და ინფორმაციის დახარისხების სწავლება მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. სასურველია სილაბუსის ეს თემატიკა შეიცვალოს უფრო რელევანტური თემატიკით. არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს სტუდენტებში პრაქტიკული უნარების განვითარება. პროგრამაში შემავალი საგნების უმეტესი ნაწილი თეორიასთან ერთად მოიცავს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას; კურიკულუმი მოიცავს ისეთ საგნებსაც, რომლის მიზანიც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობაა (მაგ. სასამართლო პროცესის ინსცენირება, ხელშეკრულებების შედგენა, სამართლებრივი მართლწერა და სხვა). პროგრამის დასკვნით სემესტრში სტუდენტებმა უნდა აირჩიონ 4 შეთავაზებული რეპეტიტორიუმიდან (სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი,

ადმინისტრაციული სამართალი, საჯარო (საკონსტიტუციო) სამართალი) მინიმუმ ერთი. რეპეტიტორიუმები გულისხმობს სამართლის სხვადასხვა მიმართულებით პრაქტიკული კომპონენტის - სასამართლო პრაქტიკის შესწავლას, რომელიც ხორციელდება კაზუსების ამოხსნის, სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის მეშვეობით.

დასკვნით სემესტრში, სტუდენტებს არჩევით კომპონენტად შესაძლებლობა აქვთ გაიარონ სასწავლო პრაქტიკა უნივერსიტეტს/სკოლას და პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ან აირჩიონ ორგანიზაცია დამოუკიდებლად.

ყოველწლიურად სტუდენტები, სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ხელშეწყობით, მონაწილეობენ სხვადასხვა იმიტირებულ სასამართლო პროცესებში, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე. უნივერსიტეტისა და სკოლის ფარგლებში ხორციელდება კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი აქტივობები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ აქტივობებში შედარებით ნაკლებია კვლევითი პროექტები სტუდენტების მონაწილეობით.

2014-2018 წლებში განხორციელებულია აქტივობები, რაც მოიცავს საერთაშორისო იმიტირებული პროცესებს. მაგალითად, ვილემ ს. ვისის სახელობის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის იმიტირებული პროცესი - 2014 წელი; ვილემ ს. ვისის სახელობის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის იმიტირებული პროცესი - 2015 წელი; ვილემ ს. ვისის სახელობის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის იმიტირებული პროცესი - 2016 წელი; ვილემ ს. ვისის სახელობის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის იმიტირებული პროცესი - 2017 წელი; ფილიპ ს. ჯესაპის სახელობის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული პროცესი - 2016 წელი; ფილიპ ს. ჯესაპის სახელობის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული პროცესი - 2017 წელი. ეროვნული იმიტირებული პროცესებს, როგორიცაა: ეროვნული მედიაციის შეჯიბრი - 2016 წელი; საკონსტიტუციო სამართლის ეროვნული შეჯიბრი - 2016 წელი; შეჯიბრი კლიენტთა კონსულტირების უნარ-ჩვევებში - 2016 წელი; სტუდენტური შეჯიბრი სისხლის სამართლის პროცესში ადვიკატირების უნარ-ჩვევებში - 2016 წელი; ადამიანის უფლებების იმიტირებული პროცესი - 2016 წელი; იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის თემაზე - 2017 წელი; ადამიანის უფლებათა სამართალში იმიტირებული სასამართლო პროცესი - 2017 წელი; ბიზნეს სამართლის იმიტირებული პროცესი - 2017 წელი; ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისათვის - 2017 წელი. GIPA - ს მიერ ჩატარებულ იმიტირებული პროცესებს, როგორიცაა: იმიტირებული პროცესი საერთაშორისო საჯარო სამართალსა და

საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალში. 2017 წლის ივნისი და 2018 წლის ივნისის შრომის სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესი; წელი და 2017 წლის იმიტირებული პროცესი საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალში. აღნიშნული აქტივობების შესახებ აღნიშნულია თვითშეფასების ანგარიშში და შეაბამისი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინტერნეტ სივრცეში.

გარდა ამისა, 2017 წლიდან სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების ინიციატივით ხორციელდება ნატოს მოდელირების პროექტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლებში. ასევე 2017 წლის დეკემბერში სკოლის მოსწავლეებისათვის, გაიმართა პროექტისთვის მოსამზადებელი საჯარო ლექცია ნატოს თემატიკაზე.

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მთითებული და წარმოდგენილი დოკუმენტებითაც დასტურდება, 2018–2019 სასწავლო წელს დაგეგმილია პროექტის „აკადემიური სივრცე ადამიანის უფლებებისთვის“ განხორციელება. პროექტი, სტუდენტებში შესაბამისი უნარების განვითარების და მათი აქტიური ჩართულობის ხელშეწყობის გზით, გამოიკვლევს და გააანალიზებს საზოგადოებისთვის აქტუალურ თემასთან (აღნიშნული თემა შერჩეული იქნება სტუდენტების ჩართულობით გაეროს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა პაქტით გათვალისწინებულ უფლებათაგან. პროექტი ითვალისწინებს ანალიტიკური ხასიათის ნაშრომის მომზადებას კონკრეტული უფლების თაობაზე. ასევე 2018 წელს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის ინიციატივით იგეგმება საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება, სადაც სტუდენტების ჩართულობა იქნება ხელშეწყობილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი - www.gipa.ge
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები
- საერთ. იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

ბრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშისა და სილაბუსების მიხედვით გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, გონებრივი იერიში (Brain storming), ინსცენირებული კაზუსი, და სხვ. საბაკალავრო პროგრამაში მოცემულია სწავლება-სწავლის მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, Case study, სხვა. იქვე განსაზღვრულია, რომ პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სწავლება-სწავლის მეთოდები ასევე განსაზღვრულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მიხედვით. წესის 1.1.8 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია სწავლება-სწავლის მეთოდი - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის

განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვა, სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვა);

სილაბუსების მიხედვით ირკვევა, რომ სწავლება-სწავლის მეთოდების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა საგანში განსხვავებულადაა წარმოდგენილი. ზოგიერთი კურსი დეტალურად აღწერს მეთოდებს, ხოლო ზოგიერთ სილაბუსში მხოლოდ ჩამონათვალი არის მოცემული. მაგალითად, ვილემ ს. ვისის სახელობის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის იმიტირებული პროცესის სილაბუსში მითითებულია, რომ სწავლების მიდგომა არის სტუდენტზე ორიენტირებული: სტუდენტი გაეცნობა საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის და საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის სფეროებს, სანამ დაიწყებს დავის საკითხის განხილვას და მემორანდუმზე მუშაობას. გუნდს ჩაუტარდება სემინარები, რომლის დროსაც მას მიეცემა შენიშვნები და რეკომენდაციები გაწეული სამუშაოს შესახებ. სტუდენტები შეისწავლიან თუ როგორ უნდა წარმოადიგნონ კლიენტი საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში, როგორც წერილობითი ფორმით, ასევე ზეპირი გამოსვლით. ამავე სილაბუსის სახელწოდება არის: „საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა სილაბუსი“, სილაბუსსი კი მითითებულია, რომ სილაბუსი განკუთვნილია როგორც ბაკალავრიატის, ისე სამაგისტრო საფეხურისათვის.

პროგრამის სილაბუსებში არის მოცემული მეთოდების ჩამონათვალი, თუმცა იქვე არ არის დეტალურად განმარტებული თუ რას გულისხმობს ეს მეთოდები. ასეთი სახით არის წარმოდგენილი სწავლა-სწავლების მეთოდები მაგალითად შემდეგ სილაბუსებში: სასამართლო პროცესის ინსცენირება და იურიდიული პრეზენტაციის უნარ-ჩვევები, საოჯახო/მემკვიდრეობის სამართალი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, საჯარო (კონსტიტუციური) სამართალის რეპეტიტორიუმი, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართალი, სააღსრულებო სამართალი, გადახდისუუნარობის სამართალი, სამართლებრივი მართლწერა, კრიმინოლოგია, შრომის სამართალი, კრიმინალისტიკა, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი), სამართლის ფილოსოფია,

კონსტიტუციური სამართალი, შესავალი სოციოლოგიაში, შესავალი სამოქალაქო სამართლში, შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში, სამართლებრივი მართლწერა.

ზოგიერთი კურსის სილაბუსში, მაგალითად კრიმინოლოგია, საკანონმდებლო ტექნიკა, სწავლების მეთოდებად მითითებულია: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, სხვა. სილაბუსში არ არის დეტალურად განმარტებულისწავლების მეთოდები და ასევე სწავლების მეთოდად არ არის გათვალისწინებული Case study. ამ საგნებისატვის Case study-ის სწავლების მეთოდის გამოყენება მნიშვნელოვანი იქნებოდა. ასევე ევროკავშირის სამართალში, რომელიც არის სავალდებულო საგანი, სილაბუსში სწავლების მეთოდებად დასახელებულია ინტერაქტიური ლექციები, ლექტორის პრეზენტაცია, დებატები და მსჯელობა, ჯგუფური და ინდივიდუალური დავალებები, სემინარებზე გამართული დისკუსიები, თუმცა არ ითვალისწინებს Case study-ის როგორც სწავლების მეთოდს.

ადგილობრივი თვითმმართველობის სასწავლო კურსის სილაბუსში ნათლად არ არის განსაზღვრული სწავლების მეთოდები. კერძოდ, სილაბუსში აღნიშნულია, რომ აღნიშნული სასწავლო კურსის შესასწავლად გამოყენებული იქნება სხვადასხვა მეთოდი. ლექციაზე მასალის ვერბალურად გადაცემის გარდა ლექციაზე მოხდება თემასთან დაკავშირებული კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების განხილვა-ანალიზი, რაც სტუდენტს საშუალებას მიცემს გაანალიზოს მუნიციპალურ სფეროში არსებული მდგომარეობა, შესძლოს პრობლემების გამომწვევი მიზეზებისა და რეფორმების შეფასება. ლექციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დისკუსია/დებატების მეთოდს, რაც გულისხმობს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხისა და აქტივობის ამაღლებას. ეს მეთოდი საშუალებას მისცემს სტუდენტებს ჩამოაყალიბონ საკუთარი შეხედულება ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელობისა და სახელმწიფო სისტემაში მისი ადგილის შესახებ, ასევე განივითარონ კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარი. სილაბუსში სწავლების მეთოდად არ არის გამოყენებული Case study, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის სასწავლო კურსისათვის თავისი მოცულობისა და მდიდარი პრაქტიკის გათვალისწინებით სასარგებლო იქნებოდა სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით. ამავე სილაბუსში არ არის ასევე მითითებული მეთოდები სემინარული მუშაობისათვის. Case study არ არის ასევე გათვალისწინებული სანივთო სამართალი II სილაბუსში, სადაც მითითებულია, რომ სასწავლო კურსის შესასწავლად გამოყენებული იქნება სხვადასხვა მეთოდი. ლექციაზე მასალის ვერბალურად გადაცემის გარდა (ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი), გამოყენებული იქნება დემონსტრირების მეთოდი, სწავლების ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ახსნა-განმარტების მეთოდი.

-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;

- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია case study-ზე ყურადღების გამახვილება
- აუცილებელია სწავლების მეთოდების დეტალური განმარტება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სილაბუსების ანალიზის შედეგად, ჩანს რომ პროგრამის სილაბუსებში ნათლად არის განსაზღვრული სწავლის/სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და პირობები

რაც შეესაბამება საქართველოს განათლების შესახებ კანონმდებლობას. კერძოდ, შეფასების სისტემა უშვებს:

- ხუთი სახის დადებით შეფასებას:
- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

  ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სილაბუსებით განსაზღვრულია დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა და გამოცდის გადაბარება, ასევე შეფასების კომპონენტები.

სილაბუსებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ მითთებულია რომ „დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა“. აღნიშნული ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდის როგორც საკანონმდებლო რეგულაციასთან, ასევე შიდა საუნივერსიტეტო წესებთან. „უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მეორე თავის, პირველი პარაგრაფის, მესამე მუხლის, 1.11 პუნქტის შესაბამისად: „საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, Fx-ის მიღების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.“ პროგრამის კოორდინატორთან გასაუბრებისა და მიმდინარე სემესტრში სკოლაში დადგენილი დასკვნითი და დამატებითი გამოცდების განრიგზე დაყრდნობით ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სილაბუსში აღნიშნული ჩანაწერი წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკურ ხარვეზს და პროცესი მიმდინარეობს/გამოცდები ტარდება მოქმედი კანონმდებლობისა და უნვიერსიტეტის

რეგულაციების შესაბამისად. მიზანშეწონილია, პროგრმის სილაბუსებში გასწორდეს აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი. სილაბუსებში შეფასების სისტემა განსხვავებულად არის წარმოდგენილი სხვადასხვა კურსებისათვის. წარმოდგენილია სილაბუსები სადაც სტუდენტთა შეფასებისათვის გამოყენებულია მონაწილეობა, ლექციაზე დასწრება, შუალედური და საბოლოო გამოცდა (მაგალითად, სააღსრულებო სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, სისხლის სამართალი (კერძო ნაწილი II), შრომის სამართალი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, საკანონმდებლო ტექნიკა, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, სისხლის სამართალი (კერძო ნაწილი I), სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), სახელშეკრულებო სამართალი, სანივთო სამართალი (IIნაწილი), სანივთო სამართალი I, შესავალი სამოქალაქო სამართლში, სამართლებრივი მართლწერა, ლოგიკა, ეკონომიკის საფუძვლები.

პროგრამა ასევე მოიცავს ისეთ სილაბუსებს, სადაც შეფასების კომპონენტებში დამატებით განსაზღვრულია წერითი დავალება, დამოუკიდებელი სამუშაო/საშინაო დავალება, რეფერატის მომზადება და ქვიზი: საერთაშორისო საჯარო სამართალის შესავალი, საარჩევნო სამართალი, კრიმინალისტიკა, კანონისმიერი ვალდებულებები, ევროკავშირის სამართალი, არასრულწლოვანთა დაცვის სამართალი სასწავლო, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლი, ადგილობრივი თვითმმართველობა, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, სამეწარმეო სამართალი, ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი), სამართლის ფილოსოფია, კონსტიტუციური სამართალი, ადამიანის უფლებების დაცვის სამართალი, შესავალი სოციოლოგიაში, შესავალი სამართალმცოდნეობაში, შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში, შესავლი ფილოსოფიის ისტორიაში, ქართული სამართლის ისტორია, ქართული მართლწერა.

ყველა სილაბუსში ახსნილი და განმარტებულია შეფასების თითოეული კომპონენტის (მონაწილეობა, ლექციაზე დასწრება, შუალედური და საბოლოო გამოცდა, წერითი დავალება, დამოუკიდებელი სამუშაო/საშინაო დავალება, რეფერატის მომზადება, ქვიზი) შფასების კრიტერიუმები. სილაბუსებში ასევე მითითებულია შეფასების მეთოდები რაც თითოეული კომპონენტის მიხედვით სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსი
- კურიკულუმი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიურება

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - მიზანშეწონილია გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი სილაბუსებში და მიეთითოს, რომ უნივერსიტეტი ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	მისობაშია მოთხოვნებთან	ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტი იღებს ჯეროვან კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასა და კარირეულ განვითარებასთან დაკავშირებით. პროგრამის კოორდინატორი მუდმივად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესთან, საგნებთან, სასწავლო ცხრილთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებას. სკოლის ადმინისტრაციის, დეკანის, კოორდინატორისა და პროგრმის ხელმძღვანელის მონაწილეობით სტუდენტებთან შეხვედრა იმართება წელიწადში სამჯერ. კერძოდ, სექტემბერში, დეკემბერსა და ზაფხულში. სექტემბრის შეხვედრაზე ხდება სტუდენტებისთვის წლის/სემესტრის განმავლობაში გასავლელი საგნების გაცნობა, სასწავლო ცხრილისა და დაგეგმილი სხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. დეკემბერში გამართულ შეხვედრაზე ხდება შემოდგომის სემესტრის შეჯამება და შეფასება. სტუდენტების მოსაზრებების მოსმენა, პრობლემების განხილვა. ზაფხულის შეხვედრაზე კი ხდება გაზაფხულის სემესტრის შეფასება. სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები პირველი ორი წლის განმავლობაში გადიან სავალდებულო საგნებს. შესაბამისად, ამ პერიოდის მანძილზე ისინი მოკლებულნი არიან საგნების არჩევის შესაძლებლობას. თუმცა მესამე კურსიდან შეუძლიათ თავად აირჩიონ არჩევითი საგნები. საგნების არჩევას სტუდენტი ახდენს ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზის - LMB.GIPA.GE-ს მეშვეობით. ამასთანავე, სტუდენტს საშუალება ეძლევა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში ამოეწეროს 2 საგნიდან. ამ შემთხვევაში სტუდენტს არ გაუფორმდება შეფასება აღნიშნულ საგანში და მიეცემა შესაძლებლობა საგანი გაიაროს მომდევნო სემესტრების განმავლობაში დამატებითი გადასახადის გადახდის გარეშე.

საგნიდან ამოწერის უფლება სტუდენტს აქვს სწავლის დაწყებიდან პირველი 4 შეხვედრის/ლექციის განმავლობაში. სტუდენტს საგნიდან ამოწერაზე უარი შეიძლება ეთქვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ქმედება ეწინააღმდეგება სტუდენტის ინტერესებს ან საგანი წარმოადგენს მომდევნო სემესტრების საგნების პრერეკვიზიტს და გამოიწვევს სტუდენტის ჩამორჩენას. საგნიდან ამოწერის მექანიზმი სტუდენტებს დამატებით შესაძლებლობას აძლევს საგნის შინაარსის უკეთ გაცნობის შემდეგ, ან სხვა საჭიროებებიდან გამომდინარე გავლენა მოახდინოს საკუთარ განრიგზე და თავისი სურვილისამებრ განახორციელოს საგნებისა თუ ცხრილის დაგეგმვა.

უნივერსიტეტში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც არეგულირებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის და ასევე, სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება/მოდიფიცირებასა ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის და საგანამანათლებლო პროცესში შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამჟამად სკოლას არ ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობის ან სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტი. თუმცა გასულ წლებში სკოლაში სწავლობდა მხედველობა დაქვეითებული სტუდენტი, რომელსაც სწავლისათვის სკოლამ შეუქმნა ყველა პირობა.

სტუდენტები მუდმივად იღებენ ინფორმაციას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და დასაქმების შესაძლებლობებზე. ასევე, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდადაჭერას. გაზაფხულზე უნივერსიტეტში შეიქმნა უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის და კარიერული განვითარების ცენტრი. ცენტრი ატარებს სტუდენტების საჭიროებების კვლევასა და გამოვლენილი შედეგების შესაბამისად გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს. ამასთანავე, უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასა და ზედამხედველობას. სტუდენტებს, ისევე როგორც კურსდამთავრებულებს მუდმივად ეგზავნებათ ინფორმაცია სხადასხვა დაწესებულებებში სტაჟირების შესაძლებლობისა და ვაკანსიების შესახებ.

სტუდენტებს აქტიური კომუნიკაცია აქვთ როგორც პროგრამის კოორდინატორთან, ასევე პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგებთან. სტუდენტებს მუდმივად აქვთ საშუალება დაუსვან მათ შეკითხვები, მიიღონ კონსულტაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე. თითოეული საგნის სილაბუსში გაწერილია კონკრეტული საგნისთვის გამოყოფილი საკონსულტაციო საათი, თუმცა აღნიშნულის გამოყენება რეალურად არ ხდება. როგორც სტუდენტები, ასევე პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სხვადასხვა გზების გამოყენებით (როგორიცაა: ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზა, ელ-ფოსტა, ტელეფონი, ლექცია/სემინარის შემდეგ გასაუბრება) კონსულტაციებს იმდენად სისტემატური ხასიათი აქვს, რომ დამატებითი საათის საჭიროება არ არსებობს. ამასთანავე, აღნიშნავენ, რომ მსგავსი კონსულტაციების ჯამური დრო არსებითად აღემატება სილაბუსით გათვალისწინებულ საკონსულტაციო საათებს.

უნივერსიტეტში არსებული ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზის - LMB.GIPA.GE-ს მეშვეობით სტუდენტს შეუძლია მიიღოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული

ინფორმაცია, ქონდეს წვდომა ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსზე და ისარგებლოს თითოეული საგნის ლექტორთან ელექტრონული კომუნიკაციით, მათ შორის მიიღოს დავალებები, მასალა, ლექტორის კონსულტაცია, გააგზავნოს შესრულებული დავალება, შეკითხვები და ა.შ.

მთლიანობაში, სტუდენტები და კურსდამთავრებულები ძალიან კმაყოფილები არიან ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის დამოკიდებულებითა და საკონსულტაციო მომსახურებით. ისინი სკოლის ერთ-ერთ გამორჩეულ მახასიათებელად სწორედ ამ ფაქტორს ასახელებენ.

სტუდენტები ფლობენ სათანადო ინფორმაციას და აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში; აგრეთვე ისარგებლონ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებით.

სკოლის ადმინისტრაცია სტუდენტებს მუდმივად აწვდის ინფრმაციას სხვადასხვა აქტივობის, ღონისძიებებისა და პროექტების შესახებ. სკოლის სტუდენტები მონაწილეობენ ისეთ საერთაშორისო იმიტირებულ პროცესებში, როგორიცაა ფილიპ ჯესაპის სახელობის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული პროცესი და ვილემ ს. ვისის სახელობის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის იმიტირებული პროცესი.

უნივერსიტეტის გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტებთან და სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებსა და უცხოეთში სწავლის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების ინტერესი და მონაწილეობის მაჩვენებელი დაბალია. საბაკალავრო პროგრამის მხოლოდ ერთი სტუდენტი იმყოფებოდა გაცვლითი პროგრამით მასარიკის უნივერსიტეტში, ჩეხეთში. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ეს გარემოება იმით ახსენეს, რომ ბაკალვრიატის ეტაპზე საქართველოში ცოდნის მიღებას ამჯობინებენ; მათი თქმით საგნების ნაკლებად თავსებადობის გამო უცხოეთში მიღებული კრედიტების აღიარება ვერ ხდება სრულად, რაც იწვევს სწავლის პერიოდის გახანგრძლივებას და არ არის სასურველი სტუდენტისთვის. იგივე მიზეზები დასახელდა ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ.

რაც შეეხება სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების მონაწილეობას კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში, მათი მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. აღსანიშნავია, რომ სკოლა მუშაობს ამ მიმართულების გაძლიერებაზე. შექმნილია კვლევითი ცენტრი, რომელიც აცხადებს კვლევით გრანტებს აკადემიური პერსონალისთვის. საგრანტო პროექტის გამარჯვების წინაპირობა არის სტუდენტების ჩართულობა კვლევით პროექტში. ამჟამად, სკოლას უკვე მოპოვებული აქვს ორი საგრანტო პროექტის დაფინანსება. ერთი „აკადემიური სივრცე ადამიანის უფლებებისთვის“, რომელშიც უნდა ჩაერთოს 10-დან 20 სტუდენდამდე, ხოლო მეორე „საქართველოს პირველი იურისტები“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- უნივერსიტეტის დებულება;
- ინტერვიუ სკოლის დეკანთან;
- ინტერვიუ პროგრამის კოორდინატორთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან;
- სილაბუსები;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია გაიზარდოს სამეცნიერო აქტივობებისა და კვლევითი პროექტების რიცხვი და მოხდეს სტუდენტების ჩართვა. სკოლამ უზრუნველყოს სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციების/პროექტების ორგანიზება. გაგრძელდეს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის კუთხით და გაიზარდოს სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების რიცხვი. ამასათანავე, შემუშავდეს მოტივაციის მექანიზმები სტუდენტებისთვის, რათა გაიზარდოს ჩართულობა სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და სამეცნიერო აქტივობებში.
- მიზანშეწონილია შემუშვდეს მექანიზმები, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების დაინტერესებასა და მონაწილეობას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

უნივერსიტეტში დანერგილია ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზა - LMB.GIPA.GE, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მარტივად მიღონ ინფორმაცია, ჰქონდეთ წვდომა საჭირო რესურსებზე და დაამყარონ კომუნიკაცია პედაგოგებთან. ამ ბაზის დადებითი მხარე არის ის, რომ მასში არის განთავსებული საგნების ძირითადი ლიტერატურა სრულად. ასევე, პირდაპირი კომუნიკაციის საშალებას იძლევა პედაგოგებთან. შესაბამისად, პედაგოგებსა და სტუდენტბს აღარ სჭირდებათ დამატებით სოციალური ქსელის აქტიურად გამოყენება. მსგავსი ტიპის ბაზა ბევრ უნივერსიტეტში არ გვხვდება (მაგალითად, ძალიან მოხერხებული ელექტრონული კომუნიკაციის საშუალება აქვს ილიას უნივერსიტეტს) და ამიტომ არის აღნიშვნის ღირსი.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	მისობაშია მოთხოვნებთან	ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელთაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

ზოგადი თვალსაზრისით სამეცნიერო და აკადემიური პერსონალს აქვს საკმარისი გამოცდილება როგორც პრაქტიკული, ასევე, კვლევითი თვალსაზრისით. ერთადერთ პროფესორს არ აქვს გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები ბოლო 5 წლის განმავლობაში, თუმცა პრაქტიკული გამოცდილებით აბალანსებს აღნიშნულს.

აკადემიური პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. კერძოდ, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 პროფესორი და 35 მოწვეული ლექტორი. სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 111 აქტიურ სტუდენტს, რასაც ემატება 50 გამოცხადებული ადგილი.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი საკმაოდ აქტიურად არის ჩართული პროგრამის განვითარებაში და გააჩნია საკმარისი ცოდნა და გამოცდილება.

ვიზიტის დროს დადებითი შთაბეჭდილება დატოვა ადმინისტრაციულმა პერსონალმა, განსაკუთრებით ხარისხის სამსახურმა. ადმინისტრაციული სამსახურის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა
- ინტერვიუ
- პერსონალის რეზიუმეები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შემოწმების დროს ექსპერტებს შთაბეჭდილება დარჩათ, რომ სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი საერთაშორისო ურთიერთოებების მიმართულებით უფრო აქტიურად არის ჩართული ვიდრე სამართლის მიმართულებით. შესაბამისად, ექსპერტების რჩევა იქნება, რომ კარგი იქნება თუ დეკანს ეყოლება შესაბამისი მიმართულების მქონე მოადგილე სამართლის საკითხებზე. ეს კიდევ უფრო ინტეგრირებულს გახდის სამართლის მიმართულებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ ყველა პირობას უქმნის აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს, რომ გაიღრმავონ გამოცდილება, კვალიფიკაცია მათ შორის საერთაშორისო თვალსაზრისით. ამავდროულად, უსდ მინიმუმ წელიწადში ერთხელ მაინც ხარისხის სამსახურის მონაწილეობით კრებს ინფორმაციას საანგარიშო პერიოდში შესრულებული კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი აქტივობების შესახებ და მის საფუძველზე გეგმავს მომავალი წლის აქტივობებს. უსდ ატარებს კმაყოფილების კვლევის შედეგებს და აანალიზებს ამ შედეგებს. სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის შემოწმება მოიცავს როგორც სასწავლო, ასევე, კვლევითი საქმიანობის შემოწმებას. პერსონალის შეფასების შედეგები გამოიყენება მათი პროფესიული განვითარებისათვის. აღსანიშნავია, უსდ-ს კვლევის დეპარტამენტი ადგენს ტრენინგების და სემინარების გეგმას, რომელმაც დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს პერსონალის განვითარებაზე.

ამავდროულად, უსდ მაქსიმალურად ცდილობს შექმნას სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის საქმიანობის ხელმშემწყობი პირობები მათ შორის მატერიალური და ფინანსური თვალსაზრისით. უსდ-ს კვლევის დეპარტამენტი გასცემს გრანტებს სამეცნიერო საქმიანობისათვის და მომავალში აპირებს სამეცნიერო საქმიანობისათვის გამოყოფილი ფინანსური სახსრები კიდევ უფრო გაზარდოს.

უსდ-ში ტარდება სხვადასხვა სახის აქტივობები, რომელთა მიზანია სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, ადამიანის უფლებების სწავლებისთვის მასწავლებლის სახელმძღანელოს შექმნა; იმართება სამუშაო შეხვედრები აკადემიურ პერსონალს შორის და ტარდება სხვა ღონისძიებები.

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ
- საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების დოკუმენტი
- გამოკითხვის შედეგები
- საერთაშორისო თანამშრომლობის ამსახველი დოკუმენტაცია

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების განხორციელებას. დადებითი შთაბეჭდილება დატოვა ბიბლიოთეკამ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა არის დასკანერებული, ატვირთული და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი. სტუდენტებს შეუძლიათ ელექტრონულად გაეცნონ საგნის სახელმძღვანელოებს, რაც სწავლას, თანამედროვე პირობების გათვალისწინებით, შედარებით უფრო ხელმისაწვდომს და მოხერხებულს ხდის. ასევე, სტუდენტებისათვის ხელმისწავდომია სხვადასხვა საერთაშორისო ელექტრონული რესურსები, მაგალითად, EBSCO, JSTOR, და ა. შ. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებდნენ ელექტრონულ ბიბლიოთეკას. ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის

მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ელექტრონიზაცია სახელმძღვანელოების ძალიან კარგია, თუმცა მნიშვნელოვანია ავტორების საავტორო უფლებების დაცვა. უსდ უნდა დაუკავშირდეს დასკანერებულ ლიტერატურის ავტორების და მოიპოვოს მათგან ლიტერატურის სტუდენტებისთვის ასეთი ფორმით მიწოდების უფლება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს შემუშავებული აქვს საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი, სადაც ასახული თანხები იძლევა პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების მიღწევის საშუალებას. ბიუჯეტში მითითებულია ფინანსური მხარდაჭერის წყარო და ხარჯების სავარაუდო ფორმა ლექტორების ხელფასების, შესაძენი ლიტერატურისა თუ სტიპენდიების სახით. ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	მისობაშია მოთხოვნებთან	ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ხარისხის შეფასების მექანიზმები განსაზღვრულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე. კერძოდ, სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ასახულია „თავი VIII სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები” და „თავი III საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“.

უნივერსიტეტის ხარისხის სრულყოფისათვის უნივერსიტეტი იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მექანიზმს, რომელიც ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პროფესურის, კურსდამთავრებულების რეგულარული გამოკითხვის საშუალებით. უნივერსიტეტის მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა დასტურდება თვითშეფასების ანგარიშითა და სხვადასხვა დოკუმენტით.

უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს „სამართლის მიმართულების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრების მოკლე მიმოხილვა და შედეგების ანალიზი“. ამ ანგარიშის მიხედვით, სამართლისა და პოლიტიკის სკოლა სწავლის ხარისხის შეფასებისას სხვადასხვა ფორმას იყენებს, მაგ: სტუდენტთა მიერ შევსებული კითხვარების ანალიზსა და მათთან შეხვედრებს, კურსდამთავრებულთა გამოკითხვას, კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვას, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის ანალიზს, მოწვეული ლექტორების ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში, პოტენციური დამსაქმებლების ჩართვას პროგრამის შექმნა/მოდიფიცირების პროცესში, კონკურენტი უნივერსიტეტების კვლევას და სხვა.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2016-2018 წლებში **სამართლის საბაკალავრო** და **საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამების** სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული შეხვედრების, ფოკუს ჯგუფების შემაჯამებელ ანგარიშს და ამ შეხვედრებისას მიღებული შედეგების ანალიზს. როგორც ამ ანგარიშში არის აღნიშნული, სკოლა უზრუნველყოფს საბაკალავრო პროგრამის სწავლის ხარისხის შეფასებაში აქტიურად იყენებს ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მოსაზრებებს. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამები ფარავს სამართლის ყველა ძირითად სფეროს, პროგრამებზე დადებითად აისახებოდა არჩევითი საგნების რაოდენობის გაზრდა (ორივე პროგრამაზე), შეხვედრებისას გამოიკვეთა, რომ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სურვილია გაძლიერდეს ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავება, როგორიცაა პრეზენტაცია და საჯარო გამოსვლები.

როგორც სამართლის მიმართულების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრების მოკლე მიმოხილვა და შედეგების ანალიზის დოკუმენტშია აღნიშნული, უნივერსიტეტი ხარისხის შეფასებისას სხვადასხვა ფორმას იყენებს. წარმოდგენილია

შრომის ბაზრის კვლევა - მრგვალი მაგიდა - სამართალი“ თუმცა აქ საუბარია მხოლოდ მომავალზე, რომ აკადემიური პროცესის სრულყოფის მიზნით GIPA-ში მოეწყობა ცხრა თემატური ფოკუს ჯგუფი/მრგვალი მაგიდა. აღნიშნული შეხვედრები ორიენტირებული იქნება შემდეგ დარგებსა თუ მიმართულებებზე: 1. საჯარო მმართველობა/ადგილობრივი თვითმმართველობა; 2. სამართალი; 3. ჟურნალისტიკა; 4. ბიზნესი; 5. მედია Art / მედია ინჟინერია; 6. საერთაშორისო ურთიერთობები; 7. ფსიქოლოგია; 8. ეკონომიკა და გარემოს დაცვა; 9. პროფესიული სწავლება. ფოკუს. დეტალურად აქ რაიმე განხორციელებულ აქტივობაზე საუბარი არ არის.

აქვე წარმოდგენილია „საბაკალავრო პროგრამის პროფესორებთან ლექტორებთან შეხვედრების ანგარიში“ სადაც აღნიშნულია, რომ ამ შეხვედრებზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა დამსაქმებლებთან ჩატარებულ შეხვედრებზე გამოთქმულ რეკომენდაციებზე, კონკურენტი უნივერსიტეტებისა და შრომის ბაზრის კვლევის შედეგებზე, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დამოკიდებულებაზე, რომლებმაც შემდგომში ასახვა ჰპოვა კურიკულუმსა და სილაბუსებში. ასევე 2018 წლის რეაკრედიტაციის პროცესისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული ხარვეზები და მიღებული რეკომენდაციები; მიმდინარეობდა მსჯელობა მათი გამოსწორებისა და აღმოფხვრის გზებზე.

ლექტორებთან შეხვედრებისას გამოიკვეთა სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში სამართლის გარკვეული მიმართულებების გაძლიერების აუცილებლობა. დაემატა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი, სამოხელეო სამართალი, არასრულწლოვანთა დაცვის სამართალი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართალში, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასკვნით სემესტრში სტუდენტებსათვის შეთავაზებულ იქნას პრაქტიკა (ე.წ. რეპეტიტორიუმი) სამართლის 4 ძირითადი მიმართულებით: ადმინისტრციული სამართალი, კერძო სამართალი, საკონსტიტუციო სამართალი და სისხლის სამართალი.

წარმოდგენილია „სამართლის საბაკალავრო და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობისა (დასაქმების და საგანმანათლებლო ბაზარზე) და კარიერული განვითარების კვლევა“. წინამდებარე კვლევის მიზანია, შეისწავლოს და გააანალიზოს სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე, კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარება და მათი წინსვლა საგანმანათლებლო სივრცეში.

ასევე წარმოდგენილია „სამართლისა და პოლიტიკის სკოლა სამართლის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტური კითხვარის ანალიზი 2013-2017 წლები“. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, სტუდენტთა მიერ კითხვარის შევსება შიდა შეფასების ერთ-ერთი მექანიზმია, რომელიც შემუშავებულ იქნა სკოლის აკადემიური საბჭოს მიერ და რომლის მეშვეობითაც სტუდენტს შესაძლებლობა აქვს შეაფასოს ლექტორის პროფესიონალიზმი, სასწავლო მასალა, კურსის დასრულებისას მიღწეული შედეგი, სწავლების მეთოდოლოგია და სხვ. ყოველი კურსის დასრულების შემდეგ, სტუდენტებს ურიგდებათ/ელექტრონულად ეგზავნებათ კითხვარი, რომელთა შევსებისას სტუდენთა ანონიმურობა დაცულია.

კვლევიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტმა ასეთი ჩართულობის შედეგად სხვადასხვა გადაწყვეტილება მიიღო. მაგალითად, პროგრამაში მოხდა ახალი პროფესორის ჩართვა, რომელმაც უზრუნველყო სასურველი შედეგი, საგნის მოცულობისა და სიღრმიდან გამომდინარე, მოხდება აღნიშნული საგნის მესამე სემეტრში გადატანა, ქართულენოვანი მასალების მოძიება-დამატება, ჩაჭრილი სტუდენტებისთვის, მომდევნო სემესტრებში სამართლის ფილოსოფიის უფასოდ გავლის შეთავაზება.

ასევე წარმოდგენილია „სამართლის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი“. წინამდებარე ანალიზის მიზანს წარმოადგენდა გარკვეულიყო, თუ როგორი აკადემიური მოსწრება აქვთ სტუდენტებს, რაც საშუალებას იძლეოდა დადგენილიყო, რამდენად სწორად იყო შერჩეული სწავლების მეთოდოლოგია, რამდენად რთული, ან მარტივი იყო საგანი სტუდენტებისათვის, რამდენად გამართლებული იყო ამ საგნის მოცემულ სემესტრში განაწილება, რამდენად ადეკვატური იყო ლექტორი შეფასებისას.

საბოლოოდ შემუშავებულ იქნა სხვადასხვა რეკომენდაცია. კერძოდ, მიზანშეწონილად ცაითვალა საგნებში, სადაც დაფიქსირდა შეფასება A სასურველი იყო შეფასების მეთოდების გადახედვა და ყრადღება მიექცეს რამდენად ობიექტურია ლექტორი შეფასებისას და ხომ არ იჩენს ლოიალობას სტუდენტების მიმართ ან იმ საგნებში, სადაც სტუდენტები ჩაიჭრნენ, ასევე გადაიხედოს შეფასების მეთოდი, რათა დადგინდეს გამოყენებული ლიტერატურა რამდენად შესაბამისია სემესტრისათვის.

სტუდენტების თვითშეფასების კითხვარებისა და მათთან შეხვედრების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლის აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება რამდენიმე ლექტორის ჩანაცვლების შესახებ, ასევე სხვადასხვა საგენის მომდევნო სემესტრში გადატანისა და სისხლის სამართლის კერძო ნაწილი სტუდენტებისათვის შეეთავაზებინა

ორი ნაწილის სახით (სისხლის კერძო ნაწილი 1 და სისხლის კერძი ნაწილი 2), იგივე სახის ცვლილება განხორციელდა სავინთო სამართლის მიმართებითაც. კურსი სტუდენტებისათვის შეთავაზებულია 2 ნაწილად (სანივთო სამართალი 1 და სანივთო სამართალი 2).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ხარისხის მართვის სამსახური იყენებს გარე შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს. მათშორის მნიშვნელოვანია საავტორიზაციო და სააკრედიტაციო პროცესში მოწვეული ექსპერტების მონაწილეობა.

კურსის განმახორციელებლების/დამსაქმებლების/გარე ექპერტების რეკომენდაციისა და ანალიზის საფუძველზე პროგრამას დაემატა შემდეგი საგნები: კანონისმიერი ვალდებულები, სასამართლო პროცესის ინსცენირება და იურიდიული პრეზენტაციის უნარ-ჩვევები, სამართლებრივი მართლწერა (Legal Drafting), სამშენებლო სამართალი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, სისხლის სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა, არასრულწლოვანთა დაცვის სამართალი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი, საკანონმდებლო ტექნიკა, სამოხელეო სამართალი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება.

თვითშფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს,. როგორც ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებმა გარე შემფასებებად დაასახელეს ორი ქართველიდა ერთი უცხოელი ექსპერტი, რომელთა რეკომენდაციებიც გათვალისწინებულ იქნა წარმოდგენილი პროგრამის განვითარების დროს. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუს დროს გამოირკვა, რომ უნივერსიტეტი მუშაობს მომავალში ხარისხის გარე შეფასების მექანიზმების დანერგვაზე. უკვე დაგეგმილია ე.წ. „Peer review“-სა და “Cross checking” - ის მექანიზმების გამოყენება. Cross checkingის დროს უნივერსიტეტის სხვადასხვა სკოლა ერთმანეთს შეაფასებს.

ასევე გარე შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტტა ჯგუფის მოსაზრებები და სენისვნები, რის საფუძველზეც პროგრამასი განხორციელდა მნისვნელოვანი ცვლილებები. კერზოდ, პროგრამას დაემატა რეპეტიტორიუმები (4 მიმართულებით: სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი და საჯარო (საკონსტიტუციო სამართალი). აღნიშნული კურსები მიზნად ისახავს პროგრამის განმავლობაში მიღებული ცოდნის გამყარებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდის გამოყენებით. გარდა ამისა, 2017-2018 წლებში სამართლისა და პოლიტიკის სკოლას შეემატა 8 ახალი აკადემიური პერსონალი. 5 პროფესორი და 3 ასოცირებული პროფესორი. პროგრამის შემუშავებაში ჩართულ ლექტორებთან, პროფესორებთან, სტუდენტებთან,

დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან შეხვედრებისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გადაიხედა პროგრამის მიზნები და შედეგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: - მნიშვნელოვანია გარე შეფასების მექანიზმის გაძლიერება და დამსაქმებლების კიდევ უფრო აქტიური ჩართვა პროგრამის განვითარებაში
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების

ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ვიზიტისას, შეხვედრებისა და ინტერვიუების, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს პროგრამის პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას. აღნიშნულ პროცესში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე - აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, მოწვეული ექპერტები და სხვ.

სამართლისა და პოლიტიკის სკოლა სწავლის ხარისხის შეფასებისას სხვადასხვა ფორმას იყენებს: ბაზრის კვლევა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი, სტუდენტების მხრიდან პროგრამის, სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასება, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრები (ფოკუს ჯგუფები), გარე ფაქტორების კვლევა (კონკურენტი პროგრამების შესწავლა და ანალიზი), სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, პროფესორებთან და ლექტორებთან შეხვედრები, კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის გაგრძელების სტატისტიკა/ანალიზი.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია რომ უნივერსიტეტი ახორციელებს საქართველოში არსებული სამართლის შრომის ბაზრის კვლევას და ანალიზს, ასევე უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს ანგარიში ბაზრის კვლევის შესახებ, თუმცა იგი რეალურად არ არის ბაზრის კვლევა და ძირითადად ასახავს სხვადასხვა კომპანიებთან შეხვედრების ამსახველ დოკუმენტს. ამასთან ამ ანგარიშში ძირითადად გამოყენებულია მონაცემები 2016 წლის კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამის საქართველოში (EWMI-PROLoG) დაკვეთით და ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფის „ეისითის“ მიერ ჩატარებული „სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში“. უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს გაირკვა და ასევე გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით დასტურდება, რომ უნივერსიტეტმა სხვა სამ უნივერსიტეტთან ერთად ხელი მოაწერა მემორანდუმს და მომავალში ისინი გეგმავენ ერთობლივი ბაზრის კვლებვის ჩატარებას.

უნივერსიტეტი იყენებს სტუდენტების მხრიდან პროგრამის, სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასებას და ამ მიზნით ყოველი საგნის დასრულების შემდეგ სტუდენტები ავსებენ შეფასების კითხვარებს, რომელიც მათ მიეწოდებათ ელექტრონული ბაზის (lmb.gipa.ge)-ის მეშვეობით. სტუდენტების ანონიმურობა დაცულია, რაც უზრუნველყოფს მათ ობიექტურ შეფასებას, როგორც საგნის ლექტორის პროფესიონალიზმის, სწავლების

მეთოდოლოგიის, ლიტერატურის, ცოდნის შეფასებისა და მიღწეული შედეგების შესახებ. სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეტა, რომ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით შეიცვალა რამდენიმე კურსის ლექტორი.

უნივერსიტეტი მონიტორინგისათვის იყენებს ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრებს, რომელიც იმართება წელიწადში ორჯერ (ყოველი სემესტრის ბოლოს) იგეგმება პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის კოორდინატორის შეხვედრა სტუდენტებთან. შეხვედრებზე განიხილება მიმდინარე სასწავლო პროცესი, პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები, პროგრამაში არსებული ხარვეზები (არსებობის შემთხვევაში). უნივერსიტეტის სტუდენტებმა ინტერვიუების დროს დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს და გარკვეული ცვლილებები განხორციელდა კიდეცპროგრამაში მაგალითად სასწავლო კურსების სხვადასხვა სემესტრში გადანაწილების შესახებ.

პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასებისათვის გამოიყენება პროფესორებთან და ლექტორებთან შეხვედრების ფორმატი, რაც სკოლის ფარგლებში სისტემატიურად იმართება შეხვედრები მოწვეული ლექტორებთან და პროფესორებთან. შეხვედრების მიზანია საგანმანათლებლო გეგმის შემუშავებასა და შემდგომ განვითარებაში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა. ინტერვიუების დროს პროფესორებმა და ლექტორებმა დაადასტურეს, რომ წელიწადში ორჯერ იმართება ასეთი შეხვედრა რაც მნიშვნელოვანია განვლილი სასწავლო წლის შეფასების, არსებული ხარვეზების გამოვლებისა და პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის ახალი გეგმების შედგებისათვის.

შეფასებისას მიღებული შედეგები გამოიყენება კურიკულუმისა და ზოგადად პროგრამის განვითარებისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტებით და ინტერვიუებით დასტურდება, რომ 2013 წლიდან დღემდე პროგრამამ განიცადა არა ერთი ცვლილება, მათშორის 2018 წლის სააკრედიტაციო ვიზიტისას ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნების შემდეგ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების კითხვარების ანალიზი;

○ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრების ანგარიშები; ○ აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ანგარიში; ○ კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის კვლევა; ○ განხორციელებული ცვლილებების ანგარიში.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	მისობაშია მოთხოვნებთან	ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართლის საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 46

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	ამისობაშია მოთხოვნებთან	ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ოობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
ლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
დენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
ლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

დავით მაისურაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

მალხაზ ნაკაშიძე

თეა იმედაძე